



Funded by  
the European Union



KfW



## სამუშაოები და მასალები აჭარის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამისთვის (ლოტი1)

სატენდერო განცხადება KfW

ქვეყანა:	საქართველო
წარდგენის ვადა:	08.05.2024; 12:00 სთ. საქართველოს დროით (GMT+4hr),
დაფინანსების წყარო:	KfW -ს განვითარების ბანკი
საცნობარო ნომერი:	BMZ 201366921
ICB ნომერი:	509 563
სატენდერო პროცედურა:	საერთაშორისო საკონკურსო ტენდერი (ICB)
თემა:	ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ნახევრად ურბანულ რაიონებში სოფლის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამისათვის მასალების შესყიდვა და სამუშაოები. (ლოტები 1B - შუახევი, ქედა და ხელვაჩაური).

მოთხოვნილი სერვისები:

მასალების შესყიდვა და სამუშაოები წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამისთვის აჭარის მუნიციპალიტეტებში, **შუახევი, ხელვაჩაური და ქედა.**

შესასრულებელი სამუშაოები და მომსახურება მოიცავს:

- წყალმომარაგების ცენტრალიზებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან/და რეკონსტრუქცია და გაფართოება, წყლის წარმოების ობიექტების ჩათვლით (მდინარის წყალმიღები და/ან ნაკადულების წყალშემკვრები), წყლის მაგისტრალური მილსადენი, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, რეზერვუარები, გამანაწილებელი ქსელი და სახლის დაერთებები;
- არსებული ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემის რეკონსტრუქცია სახლის დაერთებების ჩათვლით, წყალარინების მილსადენები და ჭები, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები და დამუშავებული ჩამდინარე წყლების ჩაშვება (შუახევი და ქედა);

- ადგილობრივი სანიტარული ნაგებობების მშენებლობა, რომელიც შედგება ან სექტიკური ავზებისგან შესაბამისი ინფლტრაციის სისტემებით, იქ სადაც ეს შესაძლებელია, ან მცირე ხელოვნური ჭაობი, მიწისქვეშა პირობებისა და უბნის მახასიათებლების წინასწარი შეფასების ჩათვლით, ყველაზე შესაფერისი ტექნიკური გადაწყვეტის გამოსავლენად. (ხელვაჩაური);
- თითოეულ მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციის, ტექნიკური მომსახურების შენობის მშენებლობა.

საპროექტო ტერიტორია უპირატესად მთიანია, ცივი ზამთრით და მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვით, რაც გულისხმობს საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების განსაკუთრებულ გამოწვევებს.

სატენდერო დოკუმენტები KfW-ის სტანდარტული შესყიდვის დოკუმენტებისგან განსხვავდება ტექნიკური შესაბამისობის შეფასების თვალსაზრისით. ტექნიკური ვარგისიანობის შეფასება კვალიფიკაციის შეფასების ნაწილია.